ნინო ფეტვიაშვილი

რუსული ენის ექსპერტ-კონსულტანტი

სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების

ეროვნული ცენტრი“

მასტერკლასი რუსულ ენაში

მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის ერთ-ერთი ამოცანა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სტიმულირებაა. პროფესიული განვითარებისაკენ მიმართული აქტივობები განსაკუთრებით ეფექტიანია მაშინ, როცა ისინი ეფუძნება მასწავლებელთა კონკრეტულ პროფესიულ და საგნობრივ საჭიროებებს მოცემულ მომენტში და აისახება მოსწავლეთა შედეგებზე.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა პედაგოგთა სხვადასხვა საჭიროება, რომელთა გათვალისწინებით გთავაზობთ მასტერკლასს რუსულის, როგორც უცხოური ენის, მასწავლებლებისათვის.

მასტერკლასის შედეგად:

- მონაწილეები პრაქტიკულად შექმნიან რამდენიმე სასწავლო რესურსს და განახორციელებენ მათ შეფასებას შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით;
- მონაწილეები გაეცნობიან და გააანალიზებენ სხვადასხვა აქტივობებს ორი პოზიციიდან - მოსწავლეების და მასწავლებლების;
- იმსჯელებენ აქტივობების აქტუალობაზე, შესაძლო რისკებზე და მათი თავიდან აცილების გზებზე;
- გაეცნობიან წრეების, კლუბების და გაწეული მუშაობის დოკუმენტაციის გაფორმების სპეციფიკას;
- მიიღებენ რეკომენდაციებს მათთვის პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით.

<u>**მასტერ კლასის მიზნობრივი ჯგუფი:**</u> რუსული ენის მოქმედი მასწავლებლები

<u>**მსმენელთა რაოდენობა:**</u> 25 მსმენელი

<u>**მასტერ კლასის ხანგრძლივობა:**</u> 4 საათი.